



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1044

2016 წლის 20 სექტემბერი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის“ წარმოდგენილი მასალების განმხილვევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის „ე-ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის“ წარმოდგენილი მასალების განმხილველი კომისია.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ბოკერია - გამგებლის პირველი მოადგილე;

კომისიის წევრები:

ა) იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე;

ბ) ალექსი ჭანკოტაძე - გამგებლის მოადგილე;

გ) ივანე მანაგაძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) ნინო ბატიაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი მანგოშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი;

ვ) ივანე ყაველაშვილი - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი.

მუხლი 3. კომისიამ მუშაობის პროცესში იხელმძღვანელოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 1 მაისის N15 დადგენილებით „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი  გარლო ჯამბურია

